

„ხელმოქირნე შვაბებივით დავზოგოთ კრიზისიდან“ ვინრო პერსპექტივა

ანდრე გერბერი / მარკუს შრაიერი

თებერვალი 2018

- დავალიანება ნეგატიურ მოვლენადაა მიჩნეული, ხოლო დაზოგვა ყოველთვის ქკვიანურ და გამართლებულ სვლად ითვლება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი მეშვეობით დეფიციტის აღმოფხვრასა და არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე მიდგება საქმე. მიიჩნევა, რომ ის ვინც ზოგავს უფრო პასუხისმგებლობით და ანგარიშიანად ეკიდება საქმეს. ასევე ამბობენ სახელმწიფო პოლიტიკაზეც, კრიზისის პერიოდში „ქამრების შემოჭერა“ არსებულ ვითარებასთან გამკლავების ერთ-ერთ ეფექტურ გზად მიიჩნევა.
- ბოლო წლებში ეკონომისტთა ერთი ჯგუფის ვარაუდით სახელმწიფო დეფიციტისა და დავალიანების სწრაფი და გადამწყვეტი შემცირება ევროპაში უპირატესად სახელმწიფო ხარჯების შეკვეცის ხარჯზე მოხერხდებოდა. ამ თეორიის მიხედვით, ვინაიდან კერძო მომხმარებელი საგადასახადო ტვირთის შემცირებას ელის, მაშინვე დაიწყებს მეტის მოხმარებას. კომპანიები კი შემცირებული საპროცენტო განაკვეთის ფონზე მეტ ინვესტიციას განახორციელებენ. თუმცა, თუ ბოლო წლების დინამიკას დავაკვირდებით, კერძო კომპანიებმა, დაბალი საპროცენტო განაკვეთის და სტრუქტურული რეფორმებისა მიუხედავად, გაცილებით ნაკლები ინვესტიციები განახორციელეს.
- მას შემდეგ, რაც ევროზონაში თავდაპირველი მკაცრი დაზოგვისა და მომჭირნეობის პოლიტიკა შერბილდა, ევროპის კრიზისულ სახელმწიფოებში ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური გახდა. კრიტიკა, რომ სახელმწიფო დავალიანება აუცილებლად ნეგატიური შედეგის მომტანია, უსაფუძვლო ჩანს გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან ეს ვალები იხარჯება საჯარო კაპიტალის, ანუ საჯარო მატერიალური დოვლათის შექმნაზე, როგორცაა სკოლები, საავადმყოფოები, ქუჩები ა.შ., ხოლო ეს ფაქტორი აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ამ პრობლემატიკის განხილვისას..

ვინც ფიქრობს, რომ მძიმე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის შემდგომ სახელმწიფომ დაზოგვის და მომჭირნეობის პოლიტიკას უნდა მიეყოს ხელი, რათა ამით სახელმწიფო დეფიციტი და დავალიანება შეამციროს, ის ცდება. გრძელვადიანად ბიუჯეტის კონსოლიდაცია შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი და მდგრადი ზრდის პოლიტიკისკენ შემობრუნებით.

საჯარო დისკუსიაში ხშირად ამტკიცებენ რომ სახელმწიფო დეფიციტი და სახელმწიფო დავალიანება ეკონომიკური ზრდისთვის ცუდია. დაზოგვისა და მომჭირნეობის (ოსტერიტეტის¹) პოლიტიკა კი კერძო მოთამაშეებს ნდობას გაუმყარებს ეკონომიკური მომავლისადმი და ამით ხელს შეუწყობს მეტ მოხმარებას და მეტ ინვესტირებას. შესაბამისად, სახელმწიფო ქაშარი რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა შემოიჭიროს და უპასუხისმგებლობის შედეგად დაგროვილი დავალიანების მთა, რომელიც მომავალ თაობებს ტვირთად დაანგება, შეამციროს. ხატოვნად რომ ვთქვათ, სახელმწიფომ უნდა ისწავლოს ხელმომჭირნე „შვაბი² და სახლისისაგან“, რომელიც არავითარ შემთხვევაში გასცემს იმაზე მეტს ვიდრე შემოსავალი აქვს. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ევროზონაში არსებული მძიმე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გადალახვა და სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდაცია. რამდენად სწორია ამგვარი არგუმენტაცია და რამდენად გაუძლებს იგი სიღრმისეულ ანალიზს?

1. ოსტერიტეტი (ინგ. Austerity, გერმ. Austerität) მომდინარეობს ინგლისურიდან „მომჭირნეობას“, „დაზოგვას“ და „დისციპლინირებას“ ნიშნავს. ეს ცნება ძირითადად ეკონომიკურ კონტექსტში გამოიყენება და აღნიშნავს მკაცრ საბიუჯეტო პოლიტიკას. სახელმწიფო გასავალი ხარჯების შეკვეცას და ვალეების შემცირებას (მთგ.).

2. შვაბები სამხრეთ გერმანიაში, ბადენ-ვიურტემბერგისა და ბავარიის მიწების გარკვეულ მხარეებში ცხოვრობენ, მაგ, ქ. შტუტგარტში ან ქ. ტუბინგენში. შვაბები ითვლებიან მუყაით, პრომისმოყვარე, ხელოსან და მენარმე, ასევე მდიდარ და შეძლებულ ხალხად, მაგრამ ამავედროულად უკიდურესად ხელმომჭირნედ და ანგარიშიანად. (მთგ.).

საერთო ეკონომიკური კონტექსტები განსაზღვრავენ ბიუჯეტის დეფიციტს

ზოგადად, დავალიანება ნეგატიურ მოვლენადაა მიჩნეული, მაშინ, როდესაც დაზოგვა და მომჭირნეობა დადებით ქმედებებად აღიქმება. ვინც მომჭირნეობს, ის პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს და მომავლისთვის ზრუნავს. ასეთი მიდგომა სავსებით გასაგები და მისაღებია ერთი ცალკეული ადამიანის ეკონომიკური გადმოსახედიდან. თუ ცალკეული ოჯახი დაზოგვას დაიწყებს, მაშინ მისი ქმედება შეიძლება წარმატებულიც იყოს, რამეთუ ერთი ცალკეული ოჯახის მომჭირნეობას, გამომდინარე მისი სიმცირისგან, არ შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მთლიანი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ მხრივ, საქმე სხვაგვარადაა საერთო ეკონომიკურ დონეზე. თუ ეროვნული ეკონომიკის მრავალი ან ყველა მოთამაშე ერთდროულად დაიწყებს დაზოგვას, მაშინ ამით საერთო ეკონომიკური მოთხოვნა შემცირდება, რაც გამოიწვევს წარმოების და დასაქმების შემცირებას. საბოლოო ჯამში, საერთო ეკონომიკური დანაზოგი მწირი იქნება, რის შედეგადაც ეროვნული შემოსავალიც დაიკლებს.

საერთო ეკონომიკური კონტექსტი უფრო ნათელი გახდება, თუ გავაცნობიერებთ რომ დავალიანება დაზოგვით შემცირდება და შესაბამისად ფულადი ქონება გაიზრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა მოთამაშეები მზად იქნებიან დაზოგონ ნაკლები და აიღონ მეტი ვალი. რადგანაც ყოველი მოთხოვნის უკან სადღაც ყოველთვის დგას იგივე ოდენობის ვალდებულება. თუ ქვეყნის მთლიან ეკონომიკას, უხეშად, დავყოფთ ოთხ მაკროეკონომიკურ სექტორად, როგორცაა კერძო საოჯახო ბიუჯეტი (კერძო მომხმარებელი), საწარმოები, სახელმწიფო და საზღვარგარეთი, მაშინ მათი ფინანსური ბალანსების³ შეკრებით ჯამში ყოველთვის ნულს მივიღებთ. თუ ამ სექტორიდან ერთნი ნამატის გამოიმუშავენ, მეორენი ყოველთვის დეფიციტს განიცდიან. სახელმწიფოს ფინანსური დეფიციტის შემცირება შედეგიანი იქნება მაშინ, თუ ამავე დროს კერძო

3. ბალანსში ანუ ფინანსურ სადღოში (Saldo) იგულისხმება ყველა ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ჯამი. (მთგ.)

მომხმარებლები, სანარმოები ანდა საზღვარ-გარეთი აიღებს მეტ ვალს და გახარჯავს დანაზოგებს, დაიწყებს მეტ მოხმარებას და განახორციელებს ინვესტიციებს. თუ ეს უკანასკნელი ამ გზით არ წარიმართება, მაშინ შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა, ჯერ მარტო სახელმწიფო სიდიდის გამო (სახელმწიფოს ხვედრითი წილი, ძირითადად, 30-50 პროცენტს შორის მერყეობს), უკუშედეგს გამოიღებს. შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკით საერთო ეკონომიკური მოთხოვნა იკლებს, რაც თავის მხრივ ეკონომიკის შემცირებას იწვევს, შედეგად ვერ მიიღწევა ბიუჯეტის კონსოლიდირება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ცხადია, რომ შვაბი დიასახლისისაგან განსხვავებით, სახელმწიფო დეფიციტისა და დავალიანების შემცირება გამოვა მაშინ, თუ ამის საშუალებას საერთო ეკონომიკური მდგომარეობა მოგვცემს.

მომჭირნეობის პოლიტიკამ არ მოიტანა ნაწინასწარმეტყველები ეფექტები

ტექნიკური პროგრესი რასაკვირველია ციური ბოლო წლებში ეკონომისტთა ნაწილი მუდმივად ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო დეფიციტისა და დავალიანების სწრაფი და გადამწყვეტი შემცირება (Front-Loading⁴) ევროპაში უპირატესად სახელმწიფო ხარჯების შეკვეცის ხარჯზე მოხერხდებოდა, რადგან ამით გაძლიერდებოდა კერძო მოთამაშეების ნდობა მომავალი ეკონომიკურ განვითარებისადმი. ამ თეორიის მიხედვით, რადგან კერძო მომხმარებელი საგადასახადო ტვირთის შემცირებას ელის, ის იმ დღესვე დაიწყებს მეტის მოხმარებას. კომპანიები კი შემცირებული საპროცენტო განაკვეთის ფონზე მეტ ინვესტიციას განახორციელებენ (Crowding-in-Effekt⁵). ეს თეორია მართალია უშვებს, რომ სახელმწიფო ხარჯების შეკვეცას მოხ-

მარებაზე მოთხოვნის შემცირება მოყვება, მაგრამ ამ პირდაპირი შედეგის კომპენსირება დამეტიცმისი მთლიანი გადაფარვა, ამ თეორიის თანახმად, მოხდება მომჭირნეობის პოლიტიკის შედეგად მიღწეული არაპირდაპირი, დადებითი ეფექტებით, როგორცაა ნდობა და ზრდა. ამგვარად, სახელმწიფო ფინანსების კონსოლიდაციაც უპრობლემოდ მოგვარდება.

თუ ბოლო წლების განვითარებას დავაკვირდებით, ეს პროგნოზები და მათი საყრდენი თეორიები (რაციონალური მოლოდინების თეორია, საბაზრო ეფექტურობის თეორია) ემპირიულად არ გამართლდა. კერძო კომპანიებმა დაზოგვის პოლიტიკის ფონზე, მიუხედავად დაბალი საპროცენტო განაკვეთისა და სტრუქტურული რეფორმებისა (დერეგულირება, ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია), გაცილებით ნაკლები ინვესტიციები განახორციელეს. კერძო მომხმარებელმაც შეამცირა მოხმარება. მათ ვერ შეიცვალეს ქცევა რომელიც საჭირო იქნებოდა, დაზოგვის ანუ მომჭირნეობის პოლიტიკის თანამდევი შედეგების კომპენსირებისა და მეტიც, მათი გადაფარვისათვის. საუბარიც კი ზედმეტია ნდობისა და ზრდის ეფექტებზე, რომელიც ამ თეორიის მიხედვით დაზოგვის ანუ მომჭირნეობის პოლიტიკის შედეგად მოკლევადიანად უნდა განვითარებულიყო.

მომჭირნეობის პოლიტიკამ ევროზონის კრიზისი კი არ დაძლია, არამედ გააღრმავა

ზემოთქმული თეორიის საპირისპიროდ, ევროზონაში ეკონომიკური განვითარება ისე წარიმართა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო მძიმე ეკონომიკურ და ფინანსური კრიზისის პირობებში. მრავალ ევროპულ ქვეყანაში კერძო მომხმარებელმა და კომპანიამ სპეკულაციური და საკრედიტო ბუშტის გახეთქვის ფონზე, საერთო ჯამში, დაზოგვას მიჰყო ხელი, მოხმარება და ინვესტიციები შეამცირა, რათა ამით დავალიანებისთვის (Deleveraging-Process⁶) დაეღწიათ თავი. ამ თეორიის მომხრეები იმედოვნებდნენ, რომ მაღალი სახელმწიფო

4. Front-Loading აღნიშნავს მიზანს, მაგალითად, რომელიმე პროდუქტის ფუნქცია, გამოყენება, ტექნოლოგიურ და სხვა თვისებები წინასწარი გამოცდისა და გათვლების გარეშე, განვითარების პროცესშივე განისაზღვროს. (მთგ.)

5. Crowding-in ცნება ეკონომიკაში ფართოდ გავრცელებულია და აღნიშნავს გამაძლიერებელ ეფექტს. ის მიუთითებს სახელმწიფო აქტივობების შედეგად გაზრდილ კერძო ეკონომიკური ინვესტიციების მატებაზე. ეს თემა კეინზიანური ეკონომიკის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია. მის საპირისპიროა Crowding-out (განდევნის) ეფექტი. (მთგ.)

6. Deleveraging-Process აღნიშნავს ბანკების, კომპანიებისა თუ მომხმარებლის მიერ უცხო კაპიტალის თუ კრედიტების საკუთარი კაპიტალით ჩანაცვლებას. ამ ოპერაციის მიზანია დავალიანების (Leveraging) შემცირება და ამით აღებული რისკების კომპენსირების მიღწევა (მთგ.).

დეფიციტის პირობებში კერძო სექტორი დავალიანებისგან განთავისუფლდებოდა, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა ახალი ზრდის წამოსაწყებად. თუმცა, მრავალი ევროპული ქვეყანის ფისკალური პოლიტიკა, დაზოგვისა და მომჭირნეობის პოლიტიკის (ციკლური) საჭიროების პროპაგანდირების მიუხედავად, თავდაპირველად მაინც არ აღმოჩნდა მზად გაეძლო დიდი სახელმწიფო დეფიციტისთვის. ამიტომაც კრიზისის შედეგად ისედაც დასუსტებული ეკონომიკა კიდევ უფრო შემცირდა. შესაბამისად დასახული მიზანი, სწრაფად და მკვეთრად შემცირებულიყო საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო დავალიანება, ვერ შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ გასაავალი ხარჯები, შემცირებული ეკონომიკური ზრდისა და ბიუჯეტში შემავალი გადასახადების არაპროპორციულად დანევისა გამო, მკვეთრად შეკვეცა.

მას შემდეგ, რაც ევროზონაში დაზოგვისა და მომჭირნეობის პოლიტიკა თავდაპირველი სიმკაცრით აღარ ტარდება და შერბილებულია, ევროპის კრიზისულ სახელმწიფოებში ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური გახდა. რაც შეეხება გერმანიას, აქ სახელმწიფო დეფიციტის სწრაფად შემცირებას, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვანი ნეგატიური ეკონომიკური შედეგები არ მოუტანია. ეს აიხსნება იმით, რომ (ევროპული და არაევროპული) საზღვარგარეთის ქვეყნები გერმანული ეკონომიკური ბალანსის მაღალი, ჭარბი მაჩვენებლის (Leistungsbilanzüberschuss) გამო⁷ ვალებში არიან ჩაფლულები. ამ ფაქტმა გერმანიაში შესაძლებელი გახადა სახელმწიფოს კონსოლიდაციის კურსის განხორციელება. სახელ-

მნიფო დეფიციტის შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ასევე საჯარო ინვესტიციების მკვეთრმა შემცირებამაც. თუმცა, ამპოლიტიკას, შედეგად, მთლიანი საჯარო კაპიტალის (Kapitalstock⁸) მნიშვნელოვანი დაქვეითება მოყვა. არცერთი ეს განვითარება არ ქმნის მყარ საფუძველს მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის.

სახელმწიფო დავალიანების შესახებ მიმდინარე დისკუსიები უფრო პროფესიულად და საგანზე ორიენტირებულად უნდა წარიმართოს

იიმისათვის, რომ სახელმწიფომ, როგორც საერთო ეკონომიკურმა სტაბილიზატორმა, მომავალში ამ როლს თავი უკეთ გაართვას, საჭიროა გადაილახოს საჯარო დავალიანების შესახებ არსებული ცრურწმენები. არაფერი დაშვდება, თუ საჯარო ინვესტიციების განსახორციელებლად საჭირო ფინანსების მოძიება სახელმწიფო დავალიანების გზით მოხდება. თვით კომპანიაც და კერძო მომხმარებელიც (შვაბი ოჯახიც) ინვესტიციის განსახორციელებლად ხომ კრედიტს იღებენ და ვალით იტვირთებიან. ამასთანავე, კერძო მომხმარებელმა და კომპანიებმაც უნდა გაითვალისწინონ, რომ საჯარო ვალების აღებით საჯარო კაპიტალი ანუ საჯარო მატერიალური ქონება (ქუჩები, სკოლები, სავადმყოფოები და სხვ.) ფინანსდება და იქმნება. ეს ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ დავალიანების პრობლემატიკის განსჯისას.

ის არგუმენტი, რომ სახელმწიფო დავალიანება მომავალ თაობას ტვირთად აწვება, არაა სარწმუნო, რადგან მომავალი თაობაც სარგებლობს საჯარო, მატერიალური ინფრასტრუქტურით. ამიტომ გამართლებული იქნება თუისინიც წვლილს შეიტანენ მის დაფინანსებაში. გარდა ამისა ახალგაზრდა თაობა მემკვიდრეობით არა მხოლოდ ვალებს, ასევე ფულად ქონებასაც იღებს. ამიტომაც, გადანაწილება სახელმწიფო დავალიანების ფონზე არა თაობათა შორის, როგორც ამას

7. Leistungsbilanz ეკონომიკური ცნებაა და იგი მოიცავს პროდუქტებს, სერვისებს, ხელფასებსა თუ პროცენტებს ანუ ყველა ეკონომიკურ კომპონენტს, რასაც ერთი ქვეყანა სხვა ქვეყნებთან სავაჭრო, ტრანსფერის, სერვისისა თუ გადარიცხვითი ურთიერთობის სახით ცვლის და საბოლოოდ მოგება/შედეგების სახით აღწევს. გასულ წელს გერმანიის ეკონომიკური ბალანსის მაჩვენებელი (Leistungsbilanzüberschuss) შეადგენდა 9 პროცენტს, ამით ის მნიშვნელოვნად აღემატებოდა ევროკავშირის მიერ დადგენილ ყველაზე მაღალ ნიშნულს - 6 პროცენტს. აღსანიშნავია რომ ეს ეკონომიკური ბალანსის მეტობა ძირითადად საგარეო ვაჭრობასა და გერმანული ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციაზე მოდის, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ გერმანიაში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები აჭარბებს იმპორტში დახარჯულ გასავლებს. ამგვარად აგებული გერმანული სავაჭრო ბალანსი კი ართულებს ევროკავშირის დანარჩენი, განსაკუთრებით კრიზისული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, რადგან ისინი ამ დროს ვალებით არიან დატვირთული და თანაც არ ფლობენ მაღალ ტექნოლოგიებსა და მძლავრ ინდუსტრიებს. (მთგ.).

8. Kapitalstock - საჯარო კაპიტალი, აღნიშნავს ქვეყანაში მთლიანად არსებულ საგნობრივ კაპიტალს: ქარხნებს, საწარმოებს, მანქანებს თუ ყველა იმ ტექნიკური დანადგარებს, რაც საჭიროა პროდუქციის წარმოებისათვის. საგნობრივი კაპიტალის გასაუმჯობესებელ ცვლილებებს ეწოდებათ ინვესტიციები. (მთგ.).

სწირად ამტკიცებენ, არამედ, თუ მაინცა და მაინც, თაობებს შიგნით (ღარიბსა და მდიდრის, გადასახადების გადამხდელსა და სახელმწიფო ობლიგაციებს მფლობელთა შორის) მიმდინარეობს. განაწილების არასასურველი შედეგები კი სახელმწიფომ შეიძლება მოთოკოს საგადასახადო პოლიტიკით, მაგალითად კაპიტალიდან (არასამუშაო საშუალებით) მიღებული შემოსავლების, ქონებისა და მემკვიდრეობის პროგრესული დაბეგვრით.

მდგრადი სახელმწიფო ფინანსები მეტია ვიდრე უბრალო, „შავი ნული“ ბიუჯეტში

რასაკვირველია სახელმწიფო ვალების აღება თვითმიზანი არ უნდა იყოს და ვალების მუდმივად ზრდას, შუალედური პერსპექტივით, თავი უნდა ავარიდოთ. მიუხედავად ამისა, ვალების სწრაფად შემცირების მოთხოვნა მაინც გადაჭარბებულია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ხანგრძლივი სახელმწიფო დეფიციტი (აუცილებლად) არ იწვევს ვალებში უკონტროლოდ ჩახრჩობას. სახელმწიფო ვალის კვოტა პოზიტიური ზრდის მაჩვენებლის და დეფიციტის კვოტის სტაბილურობის პირობებში, გრძელვადიანი პერსპექტივით, არ ამეტებს სასრულ რიცხვს. ამიტომაც სახელმწიფო ფინანსების მდგრადობის შესაფასებლად განმსაზღვრელია არა დეფიციტის კვოტა, არამედ სახელმწიფო ვალების განვითარების კვოტა. ამასთანავე ეს ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ფინანსების კონსოლიდაციის საუკეთესო პოლიტიკა არა დაზოგვისა და მომჭირნეობის, არამედ ზრდის პოლიტიკაა. ეს წარმოადგენს ცენტრალურ გასაღებს სტაბილური სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტში ე.წ. „შავი ნულის“ მიღწევა, მეტიც, ბიუჯეტის შემოსავლების მეტობა გასავალთან შედარებით, არ წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების

მდგრადობის გარანტიას. მით უმეტეს მაშინ, თუ „შავი ნული“ მიიღწევა იმ საზოგადო ინვესტიციების ხარჯზე, რომლებიც ხანგრძლივი ზრდის პოტენციალისთვის აუცილებელია, ან კიდევ მაშინ, თუ ბიუჯეტის კონსოლიდაციის პარალელურად არ ხდება კერძო მომხმარებლის, კომპანიების და საზღვარგარეთის ფინანსური საღდოების კონსოლიდაცია. ამიტომაც, მდგრადი სახელმწიფო ფინანსების მიღწევისათვის საჭიროა აქტიური მოქმედება მრავალი პოლიტიკური მიმართულებით, მაგალითად შემოსავლების, საგადასახადო და განაწილების პოლიტიკების სფეროში, ანდა კიდევ ბანკების რეგულირებისა და ფულადი პოლიტიკის სფეროში. მხოლოდ და მხოლოდ გასავალი ხარჯების შემცირებაზე ფოკუსირებული თვალსაწიერი, როგორც ეს „შვებ დიასახლისზე“ მითითებით იქნა ნაჩვენები, ძალიან მოკლეა და ნაკლებად გამოსადეგი შეიძლება აღმოჩნდეს.

9. „შავი ნული“ უწოდებენ ბიუჯეტის დაბალანსებულ მდგომარეობას, სადაც სახელმწიფოს გასავალი ხარჯები არ აღემატება შემოსავლებს, ამიტომაც სახელმწიფო დავალიანება აღარ იზრდება, ანუ ახალი ვალების აღება აღარ ხდება საჭირო. დიდი კოალიციის პირობებში, კანცლერი ანგელა მერკელი და მისი ფინანსთა მინისტრი ვოლფგანგ შოიბლერი მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიღწევად მიიჩნევენ ბოლო წლებში ფედერალურ ბიუჯეტში „შავი ნულის“ არსებობას და ამ პოლიტიკის გაგრძელებას ისახავენ მიზნად (მთვ.).

ავტორები

დოქტორი ანდრე გერბერი არის ფრიდრიხ ებერტის ფონდის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი

მარკუს შრაიერი არის ფრიდრიხ-ებერტის ფონდის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განყოფილებაში რეფერენტი

მთარგმნელი: მაია რაზმაძე

იმპრესარიუმი

© 2017

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
გამომცემელი: ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის განყოფილება

მისამართი: Godesberger Allee 149, 53175 Bonn
Fax: 0228 883 9205, <http://www.fes.de/wiso>

ფრიდრიხ-ებერტის ფონდის მხრიდან პუბლიკაციაზე პასუხისმგებელი პირია მარკუს შრაიერი, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის განყოფილება
საკონტაქტო მისამართი: wiso-argumente@fes.de

დაუშვებელია ფონდის გამოცემების კომერციული გამოყენება ფონდის ნერილობითი თანხმობის გარეშე.